პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 ივნისი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 122 (9213) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თბილისში, „დინამოს“ სტადიონის ახალმოწყობილ მძლეოსნურ სექტორში, პირველი შეჯიბრება გაიმართა, ჩატარდა საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსნთა ასპარეზობა. ამ სურათზე ხედავთ თბილისის გუნდის წარმომადგენელს ზურაბ მემარნიშვილს, რომელიც დამაჯერებლად იმარჯვებს 200 მეტრზე რბენაში. გუნდურ ჩათვლაში ასევე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა, — თბილისელმა სპორტსმენებმა. მასალას ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.



სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ხუთი ეტაპის შემდეგ

დნეპროპეტროვსკი. საბჭოთა კავშირის IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ვაჟთა მრავალდღიანი ველორბოლის მეოთხე და მეხუთე ეტაპები ქალაქის ქუჩებში რკალურ რბოლას მოიცავდა. მეოთხე ეტაპის დისტანცია 120 კილომეტრი იყო. ფინიშთან პირველი 19 წლის ლატვიელი ვეღოსიპედისტი რაიმონდ გოროდნიჩი მიიჭრა.

მეხუთე ეტაპის ტრასა უფრო გრძელი იყო (160 კმ). აქ ყველას ტაჯიკეთის გუნდის წევრმა ალექსანდრე ერმოლენკომ აჯობა — 3:44.01.

ხუთი ეტაპის ჯამში წინ კვლავ ხარკოველი ვასილი ყდახოვია. მომდევნო ადგილებს ნიკოლოზ გოლოვატენკო (ყაზახეთი) და ვალერი საპრონოვი (რსფსრ) ინარჩუნებენ. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო სამეული ასე გამოიყურება: უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია.

ჩემპიონებმა გამოვლინდნენ

ჩერნოვცი. დამთავრდა ქალთა სასპარტაკიადო მრავალდღიანი ველორბოლა. ექვსი ეტაპის ჯამში მოწყვლეებმა 442 კილომეტრი განვლეს. რბოლის საშუალო სიჩქარე საათში 35 კილომეტრს უდრიდა.

გუნდური გამარჯვება უზბეკეთის სპორტსმენებმა მოიპოვეს — 46:37.19, მეორე ადგილზე გავიდა ლატვის ნაკრები, მესამეზე — უკრაინის გუნდი.

პირად ჩათვლაში IX სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი რუსეთის ფედერაციის ნაკრების კაპიტანმა ალა იაკოვლევამ მოიპოვა — 11:33.44.

ინფორმაცია

კუიბიშევში გაიმართა არმიის სპორტული კლუბებისა და „შრომითი რეზერვების“ ნორჩ მოცურავეთა (1972-73 წწ. დაბადებულ) საკავშირო პირველობა. ასპარეზობაში თავი გამოიჩინა თბილისის „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელმა ზურაბ გლონგვაშვილმა (მწვრთნელები ვ. გრიგორაშენკო და ვ. კლიმენკო), რომელმაც გაიმარჯვა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.08,0 და 2.25,4).

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი გამოვლენ გაზეთ „პიონერსკაია პრავდას“ პრიზზე გამართულ ასპარეზობაში, რომელიც დნეპროპეტროვსკში ჩატარდება.

ყრილობაზე ითქვა

„ჯანმრთელობის ფაბრიკის“ ფასადი და „ინტერიერი“

თბილისის სპორტის სასახლე! უკვე 25 წელიწადზე მეტია ეს უნიკალური ნაგებობა ჩვენს დედაქალაქს ამშვენებს. ვინ მოთვლის, რამდენი საინტერესო ასპარეზობა ჩატარებულა ამ სპორტული ნაგებობის კედლებში. მაგრამ სპორტის სასახლე მხოლოდ სპორტული შეჯიბრებებისა და სპორტის გულშემატკივრებისთვის როდია განკუთვნილი. ასეთი სპორტული ნაგებობები კეთილ სამსახურს უწევენ მშრომელებს, ჩვენს ახალგაზრდობას ჯანმრთელობის გაკაჟებაში და, რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც თბილისის სპორტის სასახლე უნდა იყოს.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე, როგორც ცნობილია, თბილისის სპორტის სასახლე მკაცრად გააკრიტიკეს. მაღალი ტრიბუნიდან პირდაპირ ითქვა, რომ იგი ჯერ კიდევ ვერ იქცა „ჯანმრთელობის ფაბრიკად“. მშრომელთა აქტიური დასვენების ჭეშმარიტ კერად. სამწუხაროდ, სპორტის სასახლეში ამ მიმართებით მუშაობის გარდაქმნის ტემპი ძალიან ნელი იყო. გამოუყენებელი რჩებოდა შესაძლებლობები და რეზერვი. გაანგარიშებულია, რომ სპორტული და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებები სპორტის სასახლე ძირითადად მხოლოდ 55 დღეა დაკავებული. გამოდის, რომ წელიწადში 300 დღეზე მეტი სასახლე უქმად ცდება ან სრულად არ არის დატვირთული.

მუშაობაში არსებული ნაკლოვანებისთვის ამ თვე-ნახევრის წინათ სამუშაოდან გაათავისუფლეს სპორტის სასახლის დირექტორი გ. უირმელაშვილი. მის ადგილზე დაინიშნა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, გამოცდილი სპორტული მუშაკი, გიორგი შარაშიძე. დღეს გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

● **ამთავითვე მინდა ახეთი შეკითხვით მოგმართოთ: მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე სპორტის სასახლის მუშაობის მიმართ კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა, ახლა უკვე ხუთი თვე გავიდა. ვფიქრობთ, ეს დრო საკმარისი იყო მუშაობის გასაუმჯობესებლად და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე?**

— თბილისის სპორტის სასახლეში, მოგეხსენებათ, ძირითადად ცხრა სახეობაში ტარდება ოფიციალური შეჯიბრებები — საერთაშორისო, საკავშირო თუ რესპუბლიკური ტურნირები. ეს სახეობებია: თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, ძიუდო, ჰელბურთი, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, კრივი. წლის განმავლობაში ამ შეჯიბრებებს საშუალოდ თვე-ნახევარი მიაქვს. გარდა ამისა, ივნვრის დასაწყისში ათი დღე ხაახალწლო ნაძვის ხეს ეთმობა. სხვათა შორის, სწორედ ამ ღონისძიებების შემოსავლით ვასრულებთ საფინანსო გეგმას. მაგრამ აქმე მხოლოდ გეგმის შესრულება როდია. ეს უზარმაზარი სპორტული ნაგებობა ფაქტიურად უქმად ცდებოდა. ცხადია, ამას ვერ შეეგუებოდით და დავსახეთ კიდეც ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჩვენ არც შტატის სიმცირის გამო გვეთქმის საყვედური — დღეს სასახლეში 170 კაცი მუშაობს. მაგრამ აქამდე ყველა ერთნაირი მონდომებითა და შემართებით როდი იღვწოდა.

ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი ერთბაშად გამოსწორდება, მაგრამ ის კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ საქმეს მონდომებას არ ვაკლებთ. დღეს სასახლეში უკვე ნაყოფიერად მუშაობენ საერთო ფიზიკური მომზადების, ათლეტური ტანვარჯიშის, მინი-ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთის ჯგუფები. ამ ჯგუფებს ხუთი მოწვეული მაღალკვალიფიციური მწვრთნელი ხელმძღვანელობს. ზემოხსენებული ჯგუფები დილის 7 საათიდან იწყებენ მუშაობას. მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგება ეგრეთ წოდებული აღდგენითი ცენტრი (საუნა, სპეციალური საშხაპე და საექიმო კონტროლის კაბინეტი), მომეცადინეთა რიცხვი ორჯერ და სამჯერ მეტად გაიზრდება. დღეს სასახლეში ყველა მსურველს შეუძლია ჩააბაროს მშდ კომპლექსის ნორმატივები, ისარგებლოს ახალი ტრენაჟორების სიკეთით.

● **უფრო გლობალურად რომ მივუდგეთ საკითხს...**

— სწორედ ამას ითვალისწინებს სასახლის მუშაობის ორწლიანი გეგმა, რომელიც მითითებებისა და კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით შევიმუშავეთ. ამ გეგმის შესრულება მოგვცემს საშუალებას, რომ სასახლე, როგორც იტყვიან, „საკუთარ კედლებში“ არ იყოს ჩაკეტილი. ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევს საბურთალოს რაიონის ხელმძღვანელობა, გადაწყდა, რომ სასახლის ირგვლივ მოვაწყოთ „ჯანმრთელობის ზონა“, მეცადინეობები ღია ცის ქვეშ ჩავატაროთ. შეექმნით ეგრეთ წოდებულ „კუნთმაგართა წრეს“, სადაც მოყვარულები ივარჯიშებენ და ერთმანეთს შეეჯიბრებიან სპორტის ძალისმიერ სახეობებში. ყოველივე ეს უკვე წლეულს უნდა გაკეთდეს. თბილისის სპორტის სასახლე ქალაქის კომკავშირის კომიტეტთან ერთად შეუფობს უკრაინიდან ჩვენს რესპუბლიკაში დასასვენებლად ჩამოსულ ბავშვებს, მათი მონაწილეობით გავმართავთ მხიარულ შეჯიბრებებს. ბავშვებს დავასწრებთ სასახლეში გამართულ კონცერტებსა და კინოფილმებს. ნორჩ სტუმრებს შეუძლიათ ძალა სცადონ პიონერთა ბანაკების სპარტაკიადაშიც, რომელიც სასახლეში 24 ივნისს დაიწყება.

● **ვიცით, რომ ქვეყნის დიდი ქალაქების სპორტის სასახლეებში ხშირად დაწესებულებათა მთელი კოლექტივები იკაუებენ ჯანმრთელობას.**

— ჩვენც გვინდა გამოვიყენოთ მუშაობის ეს ფორმა. ცხადია, პირველ ყოვლისა, ვიწვევთ ახლომდებარე მსხვილ დაწესებულებებს — მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, მართვის სისტემების ინსტიტუტებს, სტატისტიკურ სამმართველოს... ამ დაწესებულებათა კოლექტივებს მოკუწოდებთ შესვენების საათებში სასახლის სარბიელზე გაიკაკუნონ ჯანჯრთელობა და მხიარულადაც დაისვენონ. მათთვის დაწესდება შეღავათიანი საფასური. განსაზღვრული გვაქვს ქალაქის ათიევე რაიონის სპორტის მესვეურებს შევთავაზოთ ყოველი თვის ბოლო შაბათს ან კვირას ჩვენს სასახლეში ჩაატარონ რაიონული ასპარეზობანი — „მხიარული სტარტები“, „საოჯახო სპარტაკიადები“, უბნების ღია შეჯიბრებები სპორტის სასახლის პრიზზე და ა. შ.

● **სპორტის სასახლეში ადრე მეტად საინტერესო სპორტული საღამოები ეწყობოდა, მათ შორის თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მონაწილეობით....**

— ამ ტრადიციას კვლავ გავაგრძელებთ. გვინდა შევქმნათ ჩვენი „სპორტის მოყვარულთა უნივერსიტეტი“. ყოველი წლის ბოლოს ჩავატაროთ ტრადიციული საღამოები — „სპორტული წლის ლაურჭატები“, სპორტული კინოფილმების ფესტივალები, სპორტული ტანსაცმლის გამოფენა.

გვინდა, რომ ჩვენს სასახლეში სპორტული ლიტერატურაც იყიდებოდეს, ვფიქრობ, რომ „სოიუზპეჩატისა“ და „საქწიგნის“ მესვეურები აქ თავის სიტყვას იტყვიან. უკვე გადაწყდა, რომ შეჯიბრების დღეებში სასახლეში რეგულარულად გაიყიდება სპორტული საქონელი. აქვე მინდა გითხრათ, რომ სასახლეში მალე კაპიტალური რემონტი დაიწყება, აღვადგენთ ყინულის მოედნის დანადგარებს, რაც საშუალებას მოგვცემს საგასტროლოდ მოვიწვიოთ ფიგურული ციგურაობის საუკეთესო ოსტატები, ანსამბლები.

ესაუბრა ოთარ ნოზაძე.

რედაქციისაგან: როგორც ვნახეთ, სპორტის სახასლის ხელმძღვანელობას, მთელ კოლექტივს ბევრი კარგი ჩანაფიქრი აქვს, მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, ჩანაფიქრის ხორცშესხმა, რატომღაც, ჭიანურდება. დაპირებებითა და იმედებით (ეს ინტერვიუშიც იგრძნობა) შორს ვერ წავალთ. სინანულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი დაპირება, რომელიც წელს, 25 მაისს უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ამჯერად კვლავ გაიმეორა სპორტის სახასლის დირექტორმა. რომდისღა გადავალთ პრაქტიკულ საქმეზე? მას შემდეგ, რაც სპორტის სასახლეში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, როგორც ზემოთ ითქვა, თვე-ნახევარზე მეტია გასული. ეს პერიოდი უველაზე აქტიური მოქმედების პერიოდი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ახე არ მოხდა. მუშაობაში გამოცოცხლება და სახურველი გარდატეხა ჯერ კიდევ არ იგრძნობა, საღამოს საათებში რესპუბლიკის ეს ვეებერთელა სპორტული ბაზა კვლავ ჩაბნელებულია. ვფიქრობთ, სპორტის სახასლის კოლექტივი, მისი ხელმძღვანელობა, პირადად გიორგი შარაშიძე, რომელსაც გამოცდილება და ავტორიტეტი არ აკლია, უველაფერს იღონებენ, რომ ჩვენი სპორტის სახასლე რაც შეიძლება მალე ჩადგეს მოსახლეობის ფართო მასების სამსახურში.

ამას წინათ რესპუბლიკის სახელმწიფო სპორტკომიტეტში კოლეგიის სხდომაზე საგანგებოდ ამსჯელეს „თბილისის სპორტის სასახლეში მახობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ამ სპორტული ნაგებობის ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 12 ივნისის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად“. სამწუხაროდ, დადგენილების ბევრი პუნქტი შეუსრულებელი რჩება, დრო კი არ ითმენს, სპორტის სახასლე ისევ და ისევ მხოლოდ ფასადით გვხიბლავს.

დღესდღეობით სახასლეში დაახლოებით 150-მდე ადამიანია გაერთიანებული გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, ეს მაშინ, როცა მარტო ამჟამად არსებული შესაძლებლობებით ამ სპორტულ ნაგებობას შეუძლია ყოველდღიურად 800-მდე მომეცადინეს მოემსახუროს. 150 და 800! დამაფიქრებელი შეფარდებაა. ერთი სიტყვით, გარდაქმნა ნელი ტემპით მიმდინარეობს, აქ კი სპორტის სასახლის დირექციასთან ერთად პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს თბილისის სპორტკომიტეტმა, რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა და სპორტსახკომის შესაბამისმა განყოფილებამ.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

21.VI. გვადალახარა. ბრაზილია — საფრანგეთი 1:1 (3:4)
21.VI. მონტერეი. მექსიკა — გფრ 0:0 (1:4)
22.VI. მეხიკო. არგენტინა — ინგლისი 2:1
22.VI. პუებლა. ესპანეთი — ბელგია 1:1 (3:4)

MEXICO86



ნახევარფინალური მატჩები გაიმართება 25 ივნისს

ერთი დღით ადრე მოხნული...

ახლო წარსულში ალბათ აზრადაც არავის მოუვიდოდა ქალები თავიანთ წყალბურთელთა გუნდებს თუ ჩამოაყალიბებდნენ და ოფიციალურ შეჯიბრებებს გამართავდნენ. მაგრამ ცურვის ტრადიციების მქონე ქვეყნებში: ავსტრალიაში, უნგრეთში, გფრ-ში, აშშ-ში, იტალიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში და სხვაგან ქალებს ისე შეუყვარდათ წყალბურთი, რომ გუნდებიც ჩამოაყალიბეს და ოფიციალური საერთაშორისო ტურნირებიც გამართეს. მათგან ჰოლანდიის, გფრ-ისა და უნგრეთის გუნდები დაწინაურდნენ. შარშან ევროპის ჩემპიონატზე ყველას ჰოლანდიელებმა აჯობეს. საპრიზო ადგილებზე კი გფრ-სა და უნგრეთის გუნდები გავიდნენ.

წლეულს წყალბურთელი ქალები პირველად გამართავენ მსოფლიო ჩემპიონატს, რომელშიც, სამწუხაროდ, საბჭოთა გუნდი ვერ მიიღებს მონაწილეობას. ჩვენს ქვეყანაში ქალთა გუნდი ამ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. დღეისათვის ქალთა 12 გუნდი არსებობს, მათ შორის — თბილისშიც. სავარაუდოა, რომ ადრე თუ გვიან საბჭოთა ქალებიც გამართავენ საკავშირო ჩემპიონატებს და ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებშიც გამოვლენ.

საერთაშორისო ქალთა წყალბურთში შექმნილ მდგომარეობას ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე ადრე ალღო აუღო თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის დირექტორმა, სპორტის ოსტატმა ვლადიმერ გოიაშვილმა, რომელიც წინათ თავად გახლდათ წყალბურთელი — ჯერ თბილისის „დინამოს" სახელს იცავდა, შემდეგ კი ამ გუნდის მწვრთნელი იყო.

— ქალ წყალბურთელთა შეჯიბრება პირველად ამ სამიოდე წლის წინათ იტალიაში ვნახე, — გვითხრა ვლადიმერ გოიაშვილმა. — რომში საწყლოსნო სახეობებში ევროპის ჩემპიონატს ვესწრებოდი. იქვე ქალთა წყალბურთში იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი ტური ჩატარდა. გულმა არ მომითმინა, გადავწყვიტე მენახა. საოცრად ემოციურად თამაშობდნენ. ვიფიქრე, დრო მოვა და ქალები მსოფლიო ჩემპიონატსაც გამართავენ, ალბათ ქალთა წყალბურთი ოლიმპიური თამაშების პროგრამაშიც შევა და მას საკავშირო სპარტაკიადების პროგრამაშიც ვიხილავთ-მეთქი. ამიტომ თბილისში დაბრუნების შემდეგ ჩვენი მოცურავეები შევკრიბე და გუნდის ჩამოყალიბება შევთავაზე. მათაც მხარი დამიჭირეს.

გოიაშვილი გუნდს საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებდა. სამწუხაროდ, ენთუზიასტმა წყალბურთელმა ქალებმა, იმის გამო, რომ შეჯიბრებები არ ტარდებოდა, თანდათან ზურგი აქციეს სპორტის ამ ახალ სახეობას. სამაგიეროდ, ახლები გამოჩნდნენ. დღევანდელი გუნდის წევრები სულ ორი წელია, რაც ვარჯიშობენ. ისინი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრები არიან და „ბურევესტნიკის" სახელით გამოდიან. ახლა ვაჟა ჩერტკოევი ავარჯიშებს, შარშან დეკემბერში ჩვენმა „ბურევესტნიკმა" საკავშირო ტურნირში მეექვსე ადგილი დაიკავა. ბოლო, მეშვიდე ადგილზე, თბილისის განათლების სამმართველოს ნაკრები გავიდა.

ბურევესტნიკელებმა წლეულს გაზაფხულზე გორკში გამართულ საკავშირო ტურნირშიც მიიღეს მონაწილეობა, აქ მათ რვა გუნდში მესამე ადგილი დაიკავეს. ახლახანს კი მოსკოვში გამართულ საკავშირო ტურნირში, რომელშიც ხუთი გუნდი გამოდიოდა, მეორე ადგილზე გავიდნენ. ამჯერად თბილისელთა ღირსებას იცავდნენ ქეთინო და რუსუდან გვანცელაძეები, ნატაშა აზატიანი, ვიქტორია ივანოვა, ტატიანა ჩერნიშოვა, ტატიანა იაჩევსკაია, მაკა ხიზანიშვილი და ირმა ბენდელიანი.

ერთი სიტყვით, პროგრესი აშკარად იგრძნობა.

სხვათა შორის, ჩვენს გუნდში, როგორც ნახეთ, ცამეტის ნაცვლად მხოლოდ რვა სპორტსმენია. წყალბურთს კი შვიდი კაცი თამაშობს, ესე იგი, „ბურევესტნიკის" გუნდის წევრები ფაქტიურად შეცვლის გარეშე თამაშობდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი მომქანცველი იქნებოდა ეს მატჩები მათთვის, მითუმეტეს, რომ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი გუნდი გამოდიოდა.

— „ბურევესტნიკის" წევრები არიან აგრეთვე იზაბელა ლიფენდოვა, ოლია ტოჩილინა, თამრიკო კოხრეიძე და თამრიკო ლაშქარაშვილი, — განაგრძო გუნდის მწვრთნელმა, — მაგრამ საკავშირო ტურნირის პერიოდში მათ გამოცდები ჰქონდათ ჩასაბარებელი და ამიტომ მოსკოვში გამგზავრება ვერ მოახერხეს. სამწუხაროდ, შეჯიბრებები იშვიათად ტარდება, ასე რომ, წყალბურთელ ქალებს გამოცდილების მიღების საშუალება თითქმის არა აქვთ. იმის გამო, რომ სხვა გუნდებს ვერ ხვდებიან, ზოგჯერ ვაჟთა გუნდებს ეჯიბრებიან.

ასეთ პირობებში რა პროგრესზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი წყალბურთელები ახლა გაცილებით უკეთ თამაშობენ, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება კარგს არაფერს მოგვიტანს. თუ დროულად ვიზრუნებთ რესპუბლიკაში წყალბურთელ ქალთა გუნდების ჩამოყალიბებაზე, მიზანსაც მივაღწევთ. ნათქვამია, ერთი დღით ადრე მოხნული ერთი დღით ადრე მოიმკებაო.

ავთანდილ გურასაშვილი

წყალბურთელ გოგონათა გუნდი.

საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტში

გაიმართა კოლეგიის მორიგი სხდომა. კოლეგიამ იმსჯელა საქართველოს მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით სოხუმში გამართულ ტყვიის მსროლელთა ასპარეზობაზე მწვრთნელთა და წარმომადგენელთა ლოთობის ფაქტზე, რომლის შესახებაც მიმდინარე წლის 12 ივნისს გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი „ისმოდა სროლა, ისმოდა ღვინოც..."

ეს ფაქტი მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ იგი მოხდა იმ პერიოდში, როცა მთელ ჩვენ ქვეყანაში დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, თანაც, ეს ყოვლად საძრახი ამბავი მოხდა მოზარდთა შეჯიბრებაზე. კოლეგიამ დაწვრილებით განიხილა ეს ფაქტი და მხოლოდ მკაცრ შეფასებას როდი დასჯერდა. ყურადღება გამახვილდა ამგვარი დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე. ასპარეზობის ორგანიზატორთა და სპორტული ბაზის მუშაკთა უპასუხისმგებლობაზე, როცა ნაცვლად მომთხოვნელობისა, მათ ძმაბიჭური დამოკიდებულება გამოავლინეს.

კოლეგიამ სოხუმის სასროლეთის დირექტორს ი. ხანგულიას პასუხისმგებლობის საკითხი დაუყენა სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქართველოს საბჭოს ხელმძღვანელობის წინაშე. იმისათვის, რომ არ მიიღო გადამჭრელი ზომები უწესრიგობის აღმოსაფხვრელად, გამოვიდა გარეშე მაყურებლის როლში და ყოველივე ამით შებღალა სპორტსახკომის თანამშრომლის ავტორიტეტი, სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი გ. ბოხტოლანაშვილი სამსახურიდან განთავისუფლებას იმსახურებს, მაგრამ, სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ქველიაშვილმა კოლეგიას აღუთქვა, რომ ბოხტოლანაშვილმა მომხდარი ფაქტიდან გააკეთა სწორი დასკვნები, და ძალუძს გარდაქმნას მუშაობა, კოლეგიამ ამჯერად მას აკმარა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. იმისათვის, რომ არ მიიღო ამომწურავი ზომები სათანადო წესრიგის უზრუნველსაყოფად და თვითკრიტიკული არ იყო პირადი შეცდომების შეფასებაში, კოლეგიამ სპორტსახკომის სროლის განყოფილების უფროსს თ. ლეკიშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური და მოსთხოვა სროლის განყოფილების მუშაობის სრული გარდაქმნა. კოლეგიამ დასახა ღონისძიებები სპორტული შეჯიბრებების ჩატარებისას სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეებისა და თანამშრომლების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ცნობად იქნა მიღებული, რომ განათლების სამინისტრომ იმსჯელა ამ საკითხზე და დაისაჯნენ განათლების ის მუშაკები, ვისაც კონკრეტულად მიუძღვის ბრალი მომხდარ დანაშაულში.

სპორტსაზოგადოება „დინამოს" ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სპორტული სკოლის მუშაობის განხილვისას კოლეგიის წევრებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ბოლო წლებში აქ აღზრდილი კალათბურთელები თამამად იკავებენ ადგილს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში. მაგრამ იმისთვის, რომ შედეგები უფრო თვალსაჩინო იყოს, საჭიროა დაიხვეწოს ორგანიზაციული მუშაობა, ამაღლდეს მწვრთნელთა პასუხისმგებლობა. სკოლის დირექტორს გ. ბიჭიაშვილს ურჩიეს ცოდნა და გამოცდილება უფრო უნარიანად მოახმაროს ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდას. იგი ერთი წელია, რაც სკოლას ჩაუდგა სათავეში და ამ ხნის მანძილზე შეეძლო მისი მუშაობისათვის უფრო თვალსაჩინო კვალი დაემჩნია.

კოლეგია ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდება მომავალი წლის პირველ კვარტალში.

განიხილეს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის მიერ 1985-1986 წლებში გაწეული მუშაობის შედეგები. ის მოთხოვნები, რომელიც სამოქმედო პროგრამად დაგვისახა სკკპ XXVII ყრილობამ, პირველ ყოვლისა, კადრებმა უნდა გადაწყვიტონ. ამიტომ ენიჭება ესოდენ დიდი მნიშვნელობა მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. კურსებზე იწვევენ ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ყველა რგოლის მუშაკებს.

კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში მთავარია გავითვალისწინოთ საბოლოო შედეგები, ვიცოდეთ, რა გვინდა და რას მოვითხოვთ კადრებისგან — ასეთი იყო კოლეგიის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

კოლეგიის სხდომამ იმსჯელა აგრეთვე ზაფხულის არდადეგების პერიოდში რესპუბლიკის პიონერულ ბანაკებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადა

აგრესიული მწვრთნელი გააძევეს

ბათუმში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა XXXIV სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული წყალბურთელთა ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავისა და თბილისის (ორი) გუნდები.

ამ შეჯიბრებაში ყველაზე საინტერესო იყო თბილისის I და ქუთაისის წყალბურთელთა გუნდების ფინალური შეხვედრა. ანგარიშით 12:7 (1:3, 5:0, 3:1, 3:2) გაიმარჯვეს თბილისელებმა (მწვრთნელი თ. ლორთქიფანიძე). თბილისელებმა ფაქტიურად მეორე პერიოდში გატანილი ხუთი „მშრალი" ბურთის წყალობით მიაღწიეს გამარჯვებას. სხვათა შორის, მათ წარმატებას ხელი შეუწყო... ქუთაისელთა მწვრთნელმა დ. კაზიევმა. მატჩის მსვლელობისას იგი ზედმეტად ღელავდა და თავის აღსაზრდელებსაც ანერვიულებდა, მაშინაც კი, როცა ისინი მეტოქეზე აშკარად უკეთესად თამაშობდნენ. კაზიევი ხშირად ეკამათებოდა მსაჯებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ აგრესიული მწვრთნელი გააძევეს.

III ადგილი დაიკავეს რუსთაველმა წყალბურთელებმა (მწვრთნელი ი. ქართველიშვილი).

შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენი გამოავლინა, — გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ზ. ჩაჩავამ. — ყველაზე კარგი შთაბეჭდილება რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა რ. ლუდუშაურმა დატოვა. თუ მონდომებით ივარჯიშებს, მისგან უსათუოდ კარგი წყალბურთელი დადგება.

ლევან ქავჟარაძე.
(„ლელოს" კორ).

ბათუმი.

მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქცია! გვაინტერესებს სად და როდის ჩატარდება საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური სტარტები სპორტის ტექნიკურ სახეობებში? იქნებ ამ ღონისძიებათა კალენდარი დაბეჭდოთ.

გ. ტაბუცაძე,
ნ. რეხვიაშვილი,
თბილისი.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამაში, როგორც ცნობილია, შეტანილია სპორტის ტექნიკური და სამხედრო-გამოყენებითი სპორტის სახეობები. გთავაზობთ ამ შეჯიბრებათა ჩატარების გრაფიკს.

ივლისი. 4-7. ავტოკროსი (ტოლიატი); 9-23. საპლანერო სპორტი (ორიოლი); 10-13. რკალური ავტორბოლა (რიგა); 12-16. სპორტული რადიოპელენგაცია (კიშინიოვი) 13-17. მოდელირება (ვილნიუსი); 13-19. რადიომრავალჭიდი (კალუგა); 15-21. წყალსამოტორო სპორტი (კინეშმა); 17-25. ვაჟთა საზღვაო მრავალჭიდი (ვორონეჟი). 18-20. რკალური მოტორბოლა — პირველი ეტაპი (ვილიანდი); 24.30. საზღვაო მრავალჭიდი (ქალები); 25-27. რკალური მოტორბოლა — მეორე ეტაპი (კაუნასი); 26-27. მოტორბოლა წიდიან ბილიკებზე (როვნო); 26-29. მრავალდღიანი მოტორბოლა (სარანსკი).

აგვისტო. 1-3. მოტოკროსი — პირველი ეტაპი (კიევი); 1-10. ავიასამოდელო სპორტი (კიევი); 4-10. წყალქვეშა ორიენტირება (მოგილიოვი) 7-10. ავტომრავალჭიდი (რიგა); 8-12. გემთსამოდელო სპორტი (მინსკი); 15-18. ავტორალი (კლაიპედა); 16-20. რადიოსამართავი მოდელები (თბილისი); 20-24. წყალქვეშა ცურვის ჩქაროსნული სახეობები (ვორონეჟი); 22-25. სამსახურო ძაღლების შეჯიბრება მრავალჭიდში (პერმი), 24-31. მოტობოლი (კიევი).

სექტემბერი. 4-8. კარტინგი (მინსკი); 5-9. სამხედრო გამოყენებითი მრავალჭიდი (კაუნასი); 5-11. საშვეულმფრენო სპორტი (იაროსლავლი), 5-14. სათვითმფრინავო სპორტი (კრასნოდარი), 20-21. მოტორბოლა იპოდრომზე — ყველა კლასი (მაიკოპი); 27-28. 500 კბ. სმ. კლასის მოტორბოლა იპოდრომზე (მაიკოპი). 26-5 ოქტომბერი. კლასიკური პარაშუტიზმი (ორჯონიკიძე).

ბავშვებს მეტი ყურადღება!

სტარტი აიღო „ტყავის ბურთის" პრიზის წლევანდელმა გათამაშებამ. წითელ წყაროში „ტყავის ბურთის" პრიზის რაიონულ გათამაშებაში, რომელიც სამ ასაკობრივ ჯგუფში ტარდება, ოცდაათი კოლექტივი ჩაება. წინასწარი შეხვედრები სამ ზონაში მიმდინარეობდა: ქედის ზონაში სამივე ასაკობრივ ჯგუფში არხილოსკალოს სკოლის ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს. არბოშიკის ზონაში (ასევე სამივე ჯგუფში) ზემო მაჩხაანელმა მოსწავლეებმა იმარჯვეს; წითელწყაროში უფროს და უმცროს ჯგუფებში ყველას წითელწყაროს № 2 საშუალო სკოლის გუნდმა აჯობა, საშუალო ჯგუფში კი რუსული საშუალო სკოლის კოლექტივმა გამოიჩინა თავი.

ნორჩ ფეხბურთელთა გადამწყვეტი შეხვედრები ამ დღეებში გაიმართა. არხილოსკალოს საშუალო სკოლის უფროსკლასელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს წითელწყაროს № 2 საშუალო სკოლის თანატოლები. საშუალო ასაკში წარმატებას მიაღწია რუსული სკოლის გუნდმა. უმცროსი ასაკის ფეხბურთელთა ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ № 2 და რუსული საშუალო სკოლის ნორჩი ფეხბურთელები. ამ მატჩის საცქერად მოსული მაყურებლები მეტად უსიამოვნო ფაქტის მომსწრენი გახდნენ: მინდორზე არც ერთი ხაზი არ იყო გავლებული, მატჩს არ ჰყავდა გვერდითი მსაჯები, სათამაშო მოედნის ზომები შემცირებული არ იყო და ბავშვები დიდებისთვის გათვალისწინებულ სტანდარტულ მოედანზე თამაშობდნენ, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამას დაემატა ძლიერი სიცხე—მატჩი უდროო დროს, დღის სამ საათზე დაიწყო. ნორჩ ფეხბურთელებს პირველივე ტაიმის მიწურულს დაღლა დაეტყოთ, მოედანზე გაჭირვებით მოძრაობდნენ და ბურთიც იშვიათად აღწევდა ერთი საჯარიმო მოედნიდან მეორემდე. თუ რაიონის სპორტის მესვეურებს ბავშვების სპარტანული წესით აღზრდა გადაუწყვეტიათ, მაშინ ისიც უნდა იცოდნენ, რომ თავგანწირვის მაგალითი უპირველეს ყოვლისა თავად უნდა უჩვენონ. სხვათა შორის, თამაშს არ ესწრებოდა რაიონის სპორტული აპარატის არც ერთი წარმომადგენელი. ეს უფრო იმიტომაა საკვირველი, რომ სპორტკომიტეტის და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის" „რეზიდენცია" (ორი პატარა ოთახი) უშუალოდ ფეხბურთის მოედნის ტერიტორიაზე მდებარეობს. საინტერესოა, ამისთანა რა გადაუდებელი საქმით იყვნენ დაკავებული ამ დროს წითელწყაროს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თენგიზ გუმაშვილი და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" თავმჯდომარე პაატა პატიშვილი.

ალექსი პაპოშვილი.
წითელი წყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

49

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 22 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 0:2 (0:0).

„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, არზიანი (გოგრიჭიანი, 61), ჭედია, კუდინოვი, გურული (უგრელიძე, 78), ხვანაძე, მახარაძე, ცაავა, გაზაევი, მესხი.

„ჩერნომორეცი": გრიშკო, ჟარკოვი, გაიდარჟი, საველიევი, სკრიპნიკი, პლოხკინა, პერეპადენკო, ფინკი, ხეკინაევი (პასულკო, 67), იურჩენკო, მოროზოვი (სმოტრიჩი, 85).

მსაჯი ოლეგ ჩინიონოვი (მოსკოვი).

გოლები: ჟარკოვი (70), პასულკო (77).

გააფრთხილეს იურჩენკო.

ამ მატჩისგან არავინ ელოდა რაღაც განსაკუთრებულს. მით უმეტეს, ისეთს, მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში რომ მოხიბლავდა ქომაგებს. მაგრამ ნებისმიერი ჭეშმარიტი გულშემატკივარი თავისი ბუნებით ოპტიმისტია და გულის სიღრმეში მაინც ჰქონდა იმედი, რომ საინტერესო მატჩის მოწმე გახდებოდა. მაგრამ ეს იმედი, როგორც თვით თამაშმა გვიჩვენა, საფუძველს მოკლებული ყოფილა.

მსოფლიო ჩემპიონატთან შედარება ვის ახსოვდა. გუშინწინდელი შეხვედრის მონაწილეებმა ვერაფრით გაახარეს მაყურებელი. თუმცა, ეს უფრო თბილისელ ფეხბურთელებზე ითქმის — ოდესელებმა ხომ ორი ქულა ჩაიწერეს აქტივში და, ამდენად, მთლად უკმაყოფილო არ უნდა დაბრუნებულიყვნენ შინ. მასპინძლებმა ყოვლად უფერულად, ულიმღამოდ და უსუსურად ჩაატარეს მატჩი, რომლის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია. საკუთარ მოედანზე დაკარგული ორი ქულა იმაზე მიგვანიშნებს, რომ მომავალში, სტუმრად ჩასატარებელ შეხვედრებში დინამოელებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ თავიანთი მარაგის შევსება. მაგრამ საქმე მარტო მოგება-წაგება როდია. მარცხისგან

არავინ არის დაზღვეული და ეს ყველას კარგად გვესმის. სხვა თუ არაფერი, სპორტის ძირითადი კანონის თანახმად, ერთი გუნდი ან ერთი სპორტსმენი მეორეზე ძლიერი ან სუსტია. ვფიქრობთ, დინამოელთა მისამართით საყვედური არავის დასცდებოდა, მათ რომ ძლიერ მეტოქესთან ღირსეულ ბრძოლაში წაეგოთ მატჩი. მაგრამ საქმე ის არის, რომ თბილისელთა მოქმედებაში მოგების სურვილიც არ იგრძნობოდა, უამისოდ კი შეუძლებელია წარმატებაზე ფიქრი. არა მგონია, ჩვენი ფეხბურთელების გასამართლებლად გამოდგეს ის ფაქტი, რომ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ გუნდის ლიდერებს ჩივაძეს, სულაქველიძეს, შენგელიას, გუცაევსა და ჩელებაძეს. ამ ცნობილ ოსტატთა პარტნიორებს საკმარისი გამოცდილება აქვთ საიმისოდ, რომ საკუთარ მინდორზე „ჩერნომორეცთან" თამაში შეძლონ. არადა, მთელი მატჩის მანძილზე მასპინძლები სულ ორჯერ დაემუქრნენ მეტოქის კარს: 53-ე წუთზე გურულის დარტყმა სტუმართა მეკარემ კუთხურზე მოიგერია, 65-ე წუთზე კი მესხმა თავით ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცდინა მიზანს ბურთი.

ოდესელთაგან ყველაზე შესამჩნევი ფიგურა იყო ჟარკოვი. პირველ ტაიმში მისი ზუსტი გადაცემის შემდეგ ფინკმა ძლის მოარტყა ბურთი, მეორე ტაიმის დასაწყისში გაბელიამ კუთხურზე მოიგერია მისი ძლიერი დარტყმა, 70-ე წუთზე კი მანვე გახსნა ანგარიში: გურულმა და ჭედიამ შეუთანხმებლად ითამაშეს და ჟარკოვმა მათ წამით დაასწრო — 1:0. შვიდი წუთის შემდეგ თავი გამოიჩინა პასულკომ, რომელიც კარგად გავიდა თბილისელთა კართან და ზუსტადაც დაარტყა — 2:0.

დავით კაკაბაძე.

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 22 ივნისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) 3:2 (2:1).

„ტორპედო": ქანთარია, ფრუიძე (ჭელიძე, 63 წთ). პაიკიძე, მალანია, ვახაძე, დოჩია, კორდალიძე, ყორყიკაშვილი, მეგრელაძე (ჩქარეული, 90), ხაგბა, შენგელია.

„დნეპრი": კრაკოვსკი, ბაშკიროვი, ვიშნევსკი, პუჩკოვი, ბაგმუტი, დილაი (კოლიადკო, 46), კუზნეცოვი, ლიტოვჩენკო, გავრილოვი, პროტასოვი, ტარანი (ლიუტი, 46).

გოლები: პროტასოვი (მე-5 წთ), ხაგბა (22), კორდალიძე (41), ლიტოვჩენკო (68), ჭელიძე (74).

მსაჯი მ. მილიაუსკასი (ალიტუსი).

გააფრთხილეს ყორყიკაშვილი.

დუბლიორები — 2:5. ქუთაისელთაგან გოლები გაიტანეს ჭელიძემ და წიკლაურმა.

არის მატჩები, რომელთა შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. „ტორპედოსთვის" ასეთი იყო ეს თამაში უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ წამყვან გუნდთან დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან". „ტორპედოს" უკანდასახევი გზა არ ჰქონდა, მას აუცილებლად უნდა გაემარჯვა, რათა უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა იმედიანად გაეგრძელებინა.

რაც შეეხება მეტოქეს, ამ მატჩში „დნეპრსაც" მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდა, რათა კვალში ჩადგომოდა ლიდერებს.

მატჩის პირველ წუთებში მასპინძლები აქტიურობდნენ. ისინი მეტად ფლობდნენ ბურთს და განუწყვეტლივ ეძებდნენ შეტევის განვითარების გზებს, მაგრამ სტუმართა პირველივე კონტრშეტევა შედეგიანი გამოდგა: პროტასოვმა კარგად ისარგებლა ქუთაისელთა მცველების წამიერი შეყოვნებით და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში.

მძიმე ორთაბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა. უკრაინელი ფეხბურთელები ცდილობდნენ ტემპი შეენელებინათ და რიცხობრივი უპირატესობა შეექმნათ საკუთარი საჯარიმო მოედნის მისადგომებთან. მაგრამ მე-15 წუთზე ქუთაისელი ფეხბურთელები ახლოს იყვნენ მიზანთან: კორდალიძემ 20-22 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა, კრაკოვსკიმ ზედ „ცხრიანიდან" შეძლო ამ ძნელი ბურთის მოხსნა. და მაინც, ანგარიში მალე გათანაბრდა: 22-ე წუთზე ხაგბამ მეტოქის საჯარიმო მოედნის წინა ხაზიდან მოულოდნელად ძლიერად დაარტყა. კრაკოვსკიმ წამით დააგვიანა რეაგირება — 1:1. მაგრამ მოთამაშეებს თამაშის ტემპი არ შეუცვლიათ. დნეპროპეტროვსკელები კვლავ ძველებურად თამაშობდნენ, ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ და ხელსაყრელ მდგომარეობას ელოდნენ სწრაფი კონტრშეტევების განსახორციელებლად.

ასეთ რთულ სიტუაციაში მართლაც შესანიშნავად ითამაშა „ტორპედოს" კაპიტანმა ო. კორდალიძემ — 41-ე წუთზე მან მინდვრის შუა ხაზიდან ჩაჰკრა მეტოქის გადაცემა, სტუმართა ნახევარმცველები და თავდამსხმელები ამ გადაცემის მოლოდინში წინ შეყოვნდნენ და კორდალიძის წინაშე ცარიელი დერეფანი გაჩნდა. ქუთაისელთა ნახევარმცველმაც არ დააყოვნა, სწრაფი დრიბლინგი განახორციელა, საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ეფექტურად ითამაშა, ძლიერად დაარტყა და მეტად ლამაზი გოლი გაიტანა—2:1.

მეორე ტაიმის დასაწყისში დნეპროპეტროვსკელებმა ორი ახალი მოთამაშე—ლიუტი და კოლიადკო—შემოიყვანეს და თავდასხმის ხაზი გააძლიერეს. მკვეთრად შეიცვალა ბრძოლის სურათიც: „დნეპრი" მთელი ძალით ამოქმედდა და განუწყვეტლივ უტევდა მასპინძელთა კარს. ტორპედოელები ორგანიზებულად იცავდნენ თავს, მაგრამ ერთი მცირე უზუსტობის დაშვებაც საკმარისი აღმოჩნდა: ლიტოვჩენკომ 68-ე წუთზე ახლო მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

კიდევ ერთხელ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ მასპინძელთა გამარჯვება, მაგრამ აი, მინდორზე ახლადშემოსული ცენტრალური მცველი ჭელიძე დროზე ჩაება შეტევაში, საჰაერო ბრძოლა მოუგო მცველს, მეკარეს და მესამე, გადამწყვეტი გოლი გაიტანა. დარჩენილ 16 წუთში „დნეპრი" კიდევ ერთხელ შეეცადა მატჩი გადაერჩინა, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს მათი იერიშების მოგერიება, ანგარიშში სხვაობა შეინარჩუნეს და მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს.

ძლიერ მეტოქესთან უმძიმეს მატჩში მოპოვებულმა ამ წარმატებამ ტორპედოელებს ძალა უნდა შემატოს. ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ ისინი მომდევნო შეხვედრებს ასევე ძლიერად ჩაატარებენ.

თამაზ ხარაბაძე.
(„ლელოს" საკ. კორ.).

XIV ტურის სხვა მატჩების შედეგები:

„ნეფთჩი" — „სპარტაკი" 2:1

„არარატი" — „დინამო" მ. 0:1

„ქაირათი" — „ზენიტი" 1:1

„ტორპედო" მ. — „ჟალგირისი" 0:0

„დინამო" მნ. — „შახტიორი" 1:2.

28 ივნისს, XV ტურში, თბილისის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრს", ხოლო ქუთაისის „ტორპედო" — ოდესის „ჩერნომორეცს".

გათამაშების ცხრილი მდგომარეობა 24 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. „დინამო" (მოსკოვი)	13	7	3	3	18-13	17 (— 9)
2. „შახტიორი" (დონეცკი)	14	6	4	4	16-13	16 (—12)
3. „ჩერნომორეცი" (ოდესა)	14	6	4	4	15-13	16 (—12)
4. „ზენიტი" (ლენინგრადი)	13	5	5	3	21-14	15 (—11)
5. „ტორპედო" (მოსკოვი)	12	5	5	2	15-8	15 (— 9)
6. „ნეფთჩი" (ბაქო)	14	5	5	4	18-15	15 (—13)
7. „ჟალგირისი" (ვილნიუსი)	13	5	4	4	9-10	14 (—12)
8. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	13	4	6	3	16-17	14 (—12)
9. „დინამო" (თბილისი)	14	4	6	4	11-14	14 (—14)
10. „მეტალისტი" (ხარკოვი)	13	3	5	5	11-12	11 (—15)
11. „ქაირათი" (ალმა-ათა)	13	3	5	5	8-15	11 (—15)
12. „დინამო" (მინსკი)	13	4	2	7	12-18	10 (—16)
13. „დინამო" (კიევი)	7	3	4	0	12-6	10 (— 4)
14. „სპარტაკი" (მოსკოვი)	12	3	4	5	16-12	10 (—14)
15. „არარატი" (ერევანი)	14	2	5	7	7-13	9 (—19)
16. „ტორპედო" (ქუთაისი)	14	2	5	7	11-23	9 (—19)

ფეხბურთი

I ლიგა

21 ივნისს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-18 ტურის კალენდარული შეხვედრები.

„დინამო" (ბათუმი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 4:1 (2:0)

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 21 ივნისი.

„დინამო": მამინაშვილი, გოგიტიძე, ანდღულაძე, დურდიაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, შელია, თვალაბეიშვილი, მაისურაძე.

„ფახთაქორი": ცირინი, აჰმედოვი, გეხი (ერალიევი), პოსტნოვი, ბონდარენკო, ხინელობოვი, რაზამათოვი, ნიკოლაევი, კაბაევი, ზეითულაევი, აივაზიანი.

მსაჯი ა. მამაჯანოვი (დუშანბე).

„ფახთაქორს" ლიგის გათამაშებაში ახლა საკმაოდ მოკრძალებული პოზიცია უკავია, მაგრამ უმაღლესი ლიგის ყოფილი გუნდის გამოსვლა მაინც დიდ ინტერესს იწვევს ფეხბურთის მოყვარულთა შორის, მეტოქეებიც მუდამ საბრძოლველად არიან ხოლმე განწყობილი მასთან შეხვედრების დროს.

ასე იყო ბათუმშიც. მასპინძლებმა თავიდანვე უშელავათო ბრძოლა შესთავაზეს მეტოქეს, რამდენიმე მეტად სახიფათო შეტევაც განახორციელეს და 21-ე წუთზე კიკლიაშვილმა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. ტაიმის დასასრულამდე ჩიქოვანის ფლანგური რეიდის შემდეგ მაისურაძემ მეორედ აიღო ცირინის კარი.

დინამოელებმა არ დათმეს ინიციატივა შესვენების შემდეგაც. ზედანიას გარღვევა და გადაცემა კარგად გამოიყენა თვალაბეიშვილმა, ანგარიში 3:0-მდე აიყვანა, ამას ერთი გოლით უპასუხა რაზამათოვმა, მაგრამ მე-80 წუთზე ზედანიამ კიდევ ერთი ბურთი გაგზავნა „ფახთაქორის" კარში.

ოთარ მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ლანჩხუთის „გურიამ" ამავე დღეს ხაბაროვსკში ითამაშა ადგილობრივ არმიელთა კოლექტივთან და კვლავ მიუმატა ქულა თავის აქტივს — 0:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „კუზბასი" (კემეროვო) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1, „ისკრა" (სმოლენსკი) — ასკ „კარპატი" (ლვოვი) 0:1, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 3:0, „კოტაიკი" (აბოვიანი) — „პამირი" (დუშანბე) 0:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ატლანტასი" (კლაიპედა) 4:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „დაუგავა" (რიგა) 1:2, „ყუბანი" (კრასნოდარი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:1, „კოლოსი" (ნიკოპოლი) — ცსკა 0:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 4:0.

მე-19 ტურში, რომელიც 28 ივნისს შედგება, ლანჩხუთის „გურია" თავის მინდორზე მიიღებს სმოლენსკის „ისკრას", ხოლო ბათუმის დინამოელები კიშინიოვში შეხვდებიან „ნისტრუს".

გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა 24 ივნისისთვის

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დაუგავა"	17	11	4	2	35-18	26
ცსკა	17	10	5	2	29-14	25
„გურია"	17	9	4	4	25-22	22
„ლოკომ."	17	8	6	3	22-11	22
„როსტსელ."	17	8	5	4	32-23	21
„პამირი"	17	6	8	3	24-18	20
„როტორი"	17	9	1	7	21-17	19
ასკ „კარ."	17	8	3	6	30-18	19
„დინამო" ბ.	17	8	3	6	19-21	19
„კოლოსი"	18	7	5	6	16 18	19
„შინიკი"	17	7	4	6	11-8	18
„ფახთაქ."	17	8	1	8	21-24	17
ასკ რ.	17	7	3	7	17-15	17
„ყუბანი"	17	4	9	4	15-11	17
„მეტალურ."	16	6	3	7	19-17	15
„კოტაიკი"	17	4	7	6	10-13	15
„დინ." სტ.	17	3	9	5	16-15	15
„ფაკელი"	17	5	4	8	16-21	14
„ისკრა"	17	5	4	8	11-18	14
„სპარტაკი"	17	3	7	7	19-24	13
„კუზბასი"	17	3	7	7	15-25	13
„ატლანტ."	17	3	4	10	9-23	10
ასკ ხ.	17	2	6	9	15-26	10
„ნისტრუ"	17	3	2	12	12-39	8

ფეხბურთი

SOS

მატჩები ჩაიშალა, ვინაა დამნაშავე?

რესპუბლიკის ფეხბურთის ჩემპიონატში, ჩვენს სტადიონებზე სრული წესრიგის დასამყარებლად და სათამაშო დისციპლინის ასამაღლებლად, რასაც საბოლოო ანგარიშით ჩვენი ფეხბურთის საერთო გაჯანსაღება უნდა მოჰყვეს, ბევრი ითქვა და დაიწერა, კარგიც და ცუდიც. და მაინც, კვლავ გვხვდება უწესრიგობა, უპასუხისმგებლობა, თვითნებობა...

ეს ამბავი გასულ კვირას, 22 ივნისს მოხდა. თბილისის „სინათლის" სტადიონზე საქართველოს პირველობის I ლიგის გუნდების თბილისის „სინათლისა" და ცხინვალის „სპარტაკის" შეხვედრა იყო დანიშნული. გუნდებიც, მაყურებლებიც ადრიანად შეიკრიბნენ სტადიონზე, მაგრამ დანიშნულ დროს, 12 საათზე მსაჯები არსად ჩანდნენ. გავიდა ერთი საათი, საათ-ნახევარი... მატჩი რომ არ ჩაშლილიყო, შეჯიბრების ორგანიზატორებმა სპორტსაზკომის ფეხბურთის სამმართველოს თანამშრომელს ა. ნიკოლაიშვილს სთხოვეს მატჩი ემსაჯა. შეხვედრა 13 საათსა და 45 წუთზე დაიწყო. თავიდან თითქოს ყველაფერი რიგზე მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მასპინძლებმა ინიციატივა დათმეს (მანამდე ისინი თამაშს ანგარიშით — 2:0 იგებდნენ), „სინათლის" ფეხბურთელებს ზედმეტი ნერვიულობა დაეტყოთ, ანგარიში ჯერ გათანაბრდა, მერე კი წინ სტუმრები გავიდნენ. „სინათლის" მოთამაშეებმა ჯერ ორი წითელი ბარათი დაიმსახურეს, შემდეგ კი, როცა მოედნიდან გუნდის მესამე წევრიც გააძევეს, მასპინძლებმა საერთოდ მიატოვეს თამაში. ამ დროს მატჩის დამთავრებას 7 წუთი აკლდა.

ცხადია, აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა. ჩვენ ჯერ თავს ვიკავებთ შეფასებისაგან, მაგრამ უფლებას ვიტოვებთ ვიკითხოთ: რატომ არ გამოცხადდა დროულად მატჩზე ზუგდიდელ მსაჯთა (ს. კვარაცხელია, რ. წურწუმია, რ. წულაია) ბრიგადა? ვისთან შეთანხმებით დაინიშნა თამაში 12 საათზე და იყვნენ თუ არა ამის შესახებ ინფორმირებული მსაჯები? ხომ არ არის გადასახედი „სინათლის" გუნდის შემადგენლობა, რომლის წევრთა თავხედობა საყოველთაოდ ცნობილია? ამ კითხვებს ალბათ კონკრეტულ პასუხს გასცემენ სპორტსახკომი, მისი შესაბამისი სამმართველო და ფეხბურთის ფედერაცია.

კიდევ ერთი ფაქტის შესახებ. ახლახან თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონზე ჩაიშალა კალენდარული მატჩი თბილისის „შევარდენს" — სპი-სა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის. სტადიონის დირექციამ კოკისპირული წვიმის გამო არ შეუშვა ფეხბურთელები მინდორზე. არის კი ეს საპატიო მიზეზი? შეიძლებოდა თუ არა მატჩის გადარჩენა? ეს კითხვებიც პასუხს მოითხოვს.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

მექსიკა—86

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე გადამწყვეტი, დასკვნითი პერიოდი დადგა. ახლოვდება ფინიში, XIII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დღე — 29 ივნისი, მანამდე კი მოუთმენლად ველით 25 ივნისს, ნახევარფინალების დღეს, სადაც უნდა გაირკვეს 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატთა ვინაობა.

მექსიკა ახლა ნამდვილი საფეხბურთო მექაა, აქ ნახავთ ყველა გამოჩენილ ადამიანს, თანამედროვე ფეხბურთის კორიფეებს, ცნობილ მწვრთნელებს, ძველ თუ ახალ ვირტუოზებს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ცნობილ მოღვაწეებს, მსაჯებს, კომენტატორებს, მიმომხილველებს, კორესპონდენტებს...

მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ თავისუფალ დღეს ქალაქ პუებლას „კუაუტემოკის" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური თამაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ყოფილ გამოჩენილ ფეხბურთელთა გუნდები. მინდორზე გამოვიდნენ ბრაზილიელები რიველინო და კლოდოალდო, იტალიელები რივა და მაცოლა, ფრანგი ლარკე, ევროპელთა კარს იცავდა საბჭოთა მეკარე ვ. მასლაჩენკო.

ამ დღეებში მთელი საფეხბურთო სამყარო ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდების მომავალი მეოთხედფინალური მატჩით ცხოვრობდა. პროგნოზისტთა უმეტესობა ბრაზილიელებს აძლევდა უპირატესობას, უფრო სწორად, მათ ბრაზილიელთა გამარჯვება სურდათ, მაგრამ არც ფრანგ ფეხბურთელებს ჰყავდათ ნაკლებად მხარის დამჭერნი, დებატებს ბოლო არ უჩანდა.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ, როგორღაც, ორიოდე სიტყვით გამოთქვა თავისი პროგნოზი:

— რა თქმა უნდა, ბრაზილიელთა გამარჯვება მინდა, მაგრამ დასამალი არაა, რომ ფრანგები ახლა უფრო საფუძვლიანად, სერიოზულად და სოლიდურად არიან მომზადებული, მათ მეტი შანსი აქვთ.

იგივე გაიმეორა პორტუგალიელმა ეუსებიომ:

— ბრაზილიელთა თამაშისა არ მჯერა, არა მგონია მათ მეოთხედ მოიპოვონ მსოფლიო ჩემპიონობა ასეთი მწვავე კონკურენციის ვითარებაში. ჩემპიონატზე ახლა სხვა ფავორიტებია...

ორივე გამოცდილი ფეხბურთელი მართალი გამოდგა.

მაგრამ, რა დასამალია, ჩვენ ყველანი ბრაზილიელთა წარმატებას მოველოდით, ყველას გვინდოდა ამ გუნდს გაემარჯვა, ვინაიდან ფეხბურთში ისეთი ლამაზი არა არის რა, როცა ბრაზილიელები თამაშობენ. უმაღლესი ინდივიდუალური ტექნიკა, ვირტუოზული ტრიუკები, საუკეთესო ათლეტური მომზადება, აზარტი, მქუხარე სახელები.. ყველაფერი ეს ჩვენს საერთო სიმპათიებს იმსახურებს, მაგრამ, ეტყობა, მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლას სხვა კანონები აქვს.

ბრაზილიისა და საფრანგეთის გუნდების ამ მატჩში საერთო უპირატესობა, უდავოდ, ბრაზილიელებს ჰქონდათ, ისინი „უკეთ ჩანდნენ", მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო, რომ ეს უპირატესობა უმთავრესად მინდვრის შუაგულს არ სცილდებოდა, მეტოქის კარის მიახლოებისას კი ბრაზილიელთა მოიერიშე მოთამაშეები მარწუხებში იყვნენ მოქცეული, ფრანგები კი საპასუხო შეტევებისას უფრო სახიფათონი იყვნენ.

ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა ბრაზილიელმა კარეკამ, რომელიც წამით ღიად დარჩა თავისი პარტნიორების მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ და ეს შანსიც ზუსტად გამოიყენა, მაგრამ შემდგომში, როცა დაძაბულობა ოდნავ მინელდა, საფრანგეთის ნაკრებმა ასეთივე რთული კომბინაცია გაითამაშა და პლატინიმ საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

ვერც დარჩენილ დროში, ვერც დამატებით ტაიმებში ბურთის გატანა ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო, ვერ შეძლო ეს ბრაზილიელმა ზიკომაც, როცა ფრანგების კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. დარტყმის შესრულება გუნდმა ზიკოს მიანდო, იგი კი ამ მომენტში, ჩვენი აზრით, დაიბნა, კარგად ვერ დაარტყა და მეკარე ბატსმა მოიგერია ბურთი.

პირველად მეცამეტე მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების შემდეგ საჭირო შეიქნა დამატებითი პენალტების შესრულება. პირველი 11-მეტრიანი სოკრატესმა ზიკოს მსგავსად არადამაჯერებლად დაარტყა და ბატსმა კვლავ მოიგერია ბურთი. შემდგომში ფრანგებმა სტოპირამ, ამორომ და ბელონიმ, აგრეთვე, ბრაზილიელებმა ალემაომ, ზიკომ და ბრანკომ ზუსტად გამოიყენეს პენალტები და ბოლოს საქმე პლატინიზე მიდგა. თუ იგი ამ 11-მეტრიანს გაიტანდა, ნახევარფინალში ფრანგები გადიოდნენ, მაგრამ პლატინიმ კარს ააცილა ძალზე ძლიერი დარტყმა.

ბოლო პენალტი ბრაზილიელებმა სეზარს მიანდვეს, სილვა ხულიო სეზარმა კი ძელს მოახვედრა დარტყმა, ხოლო ფრანგმა ფერნანდესმა ზუსტად გაიტანა ბურთი. საერთო ანგარიშით 5:4 გაიმარჯვეს ფრანგებმა.

საფრანგეთისა და ბრაზილიის გუნდების ეს მატჩი, უდავოდ, დაუვიწყარი საფეხბურთო სანახაობა იყო, ამის შემდეგ ტელევიზიით გვაჩვენეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და მექსიკის გუნდების შეხვედრა. განვლო პირველმა 45 წუთმა, მეორემაც, დაინიშნა დამატებითი დრო, სახიფათო მომენტები ორივე კართან საკმარისად შეიქმნა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეტოქეები უმეტესად მინდვრის შუაგულში თამაშს ამჯობინებდნენ, რამდენიმე გამორჩეული მომენტის გარდა აღსანიშნავი არაფერი მომხდარა. ფეხბურთელები ხშირად არღვევდნენ თამაშის წესებს, მინდვრიდან გააძევეს დასავლეთგერმანელი ბერტოლდი და მექსიკელი აგუირე. დაძაბულობა ამ მატჩში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მაღალი კლასი, საქმე აქაც დამატებით 11-მეტრიანებზე მიდგა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა უფრო ზუსტად შეასრულეს დარტყმები და, გარდა ამისა, ბრწყინვალე თამაშით გამოიჩინა თავი მათმა მეკარე შუმახერმა, რომელმაც ზედიზედ ორი პენალტი მოიგერია. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა გფრ-ის ნაკრებმა.

დამატებით 11-მეტრიანებამდე მიდგა ბელგიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრაც. სიმპათიები ესპანელთა მხარეს იყო, რომლებიც ამ მატჩშიც მსუბუქად, ძალდაუტანებლად, მაღალტექნიკურად თამაშობდნენ, ტერიტორიული უპირატესობა მათ თამაშის დასაწყისიდანვე ჰქონდათ, მაგრამ საუკეთესოდ ითამაშა ბელგიელთა მეკარე პფაფმა. და, საერთოდ, ბელგიის ნაკრები რომ ნახევარფინალში გავიდა, ეს ჟანმარი პფაფის უდიდესი ღვაწლია.

ბელგიის ნაკრები ერთხანს მხოლოდ დაცვაში იყო ჩაკეტილი, მერე სწრაფი და მოულოდნელი იერიშის შემდეგ კულემანსმა ძლიერი დარტყმით აიღო ესპანელთა კარი — 1:0.

თამაშის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა ესპანელმა სენიორმა ფლანგიდან მიიღო გადაცემა და საჯარიმო მოედნის გარედან ძლიერად დაარტყა კარში. პფაფი ამჯერად უძლური აღმოჩნდა — 1:1.

მაგრამ ბელგიელთა მეკარემ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი, ეს უკვე დამატებითი 11-მეტრიანების დროს მან მოიგერია ერთი დარტყმა და დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა ბელგიის ნაკრებმა — 5:4. სულ — 6:5.

არგენტინისა და ინგლისის გუნდების მეოთხედფინალურ მატჩში ძალზე ძლიერად ითამაშეს არგენტინელებმა, განსაკუთრებით კი მათი შეტევების ლიდერმა დიეგო მარადონამ.

არგენტინელებმა ანგარიშით 2:0 მოიგეს ეს მეტად ძნელი მატჩი და ორივე ბურთი მარადონამ გაიტანა. მართალია, პირველ შემთხვევაში, როგორც კომენტატორმა თქვა, მან გოლის გატანისას ხელიც წაიხმარა, მაგრამ ინგლისელთა კარში გატანილი მეორე ბურთი — ეს უკვე ნამდვილი საფეხბურთო შედევრი გახლდათ: მარადონამ მინდვრის სიღრმიდან შორეული ინდივიდუალური გარღვევა განახორციელა, დრიბლინგით აუარა გვერდი რამდენიმე მეტოქეს და ბრწყინვალე გოლიც გაიტანა.



შეტევაზეა დიეგო მარადონა. რეიტერ-საკდეს-საქინფორმის ფოტო.

საპასუხო გოლი ინგლისელ ლინეკერს ეკუთვნის, იგი ახლა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია 6 გატანილი ბურთით, მაგრამ გერი ლინეკერი თავის გუნდთან ერთად სამშობლოში გაემგზავრა, ამიტომ მისი ეს 6 გოლი, რა თქმა უნდა, საუკეთესო შედეგად მხოლოდ ნახევარფინალურ მატჩებამდე ითვლება.

მსოფლიო ჩემპიონატებზე მუდამ მიმდინარეობს ბრძოლა სამხრეთ ამერიკისა და ევროპის გუნდებს შორის. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში გადამწყვეტ ეტაპზე უპირატესობა ევროპელთა მხარესაა; ნახევარფინალებში ევროპის სამი გუნდია და სამხრეთამერიკისა მხოლოდ ერთი, ძველ მსოფლიო ჩემპიონთაგან გათამაშებას შემორჩნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და არგენტინის გუნდები.

25 ივნისს გაიმართება ნახევარფინალური მატჩები:

არგენტინა — ბელგია. გვადალახარა. „ხალისკოს" სტადიონი.

საფრანგეთი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. მეხიკო. „აცტეკას" სტადიონი.

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რამდენიმე მწვრთნელი გადადგა, რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი თავისი აქტიური საფეხბურთო კარიერის შეწყვეტას აპირებს. ახლაც, მეოთხედფინალური მატჩების დამთავრების შემდეგ, ბრაზილიელთა უფროსმა მწვრთნელმა ტელე სანტანამ განაცხადა, რომ აღარ იმუშავებს გუნდში, ხოლო სოკრატესი და ზიკო თავს ანებებენ თამაშს ეროვნულ ნაკრებშიც და თავიანთ კლუბებშიც.

ჩვენი [illegible]—[illegible]რის

ტალინი. სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა ექვსწლიანი შესვენების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 210:168. ჩვენი მძლეოსნების გამარჯვებით აღინიშნა როგორც ვაჟთა (102:90), ისე ქალთა (88:78) პროგრამა.

შეჯიბრების მსვლელობაში რამდენიმე საერთაშორისო კლასის შედეგი იქნა ნაჩვენები. ორი ოლიმპიადის ჩემპიონმა მოსკოველმა იური სედიხმა ურო 86 მ. 66 სმ-ზე ტყორცნა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

[illegible] გამოიჩინა გდრ-ის [illegible] წარმომადგენელმა ჰაიკე დრეჰსლერმაც. მან ჯერ მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა სიგრძეზე ხტომაში (745 სანტიმეტრი), მეორე დღეს კი 200 მეტრზე რბენა მოიგო სეზონის საუკეთესო შედეგით — 22.13.

საბჭოთა მძლეოსნების საერთოგუნდურ წარმატებაში თავისი წვლილი საქართველოს ათლეტებმაც შეიტანეს. **ოლეგ სტრიჟაკოვმა** 10 000 მეტრზე რბენაში III საპრიზო ადგილი დაიკავა, **მაია აზარაშვილი** კი 200-მეტრიან დისტანციაზე მეოთხე იყო (სწორედ იმ გარბენში, რომელიც გერმანელმა დრეჰსლერმა მოიგო).

II ლიგა

20 ივნისს შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIV ტურის მატჩები: „სპარტაკი" (ოქტემბერიანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1, „ოლიმპია" (აშტარაკი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0, „ქიაფაზი" (კიროვაბადი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 3:0, „ავტომობილისტი" (მინგეჩაური) — „დილა" (გორი) 2:0, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:1, „გიანჯლიკი" (ბაქო) — „დინამო" (სოხუმი) 1:0, „არაზი" (ნახიჩევანი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0, „ყარაბახი" (სტეფანაკერტი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 1:0.

საქართველოს პირველობა

21 და 22 ივნისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXV ტურის მატჩები.

აღმოსავლეთი ჯგუფი

„კახეთი" (თელავი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 0:0, „მადნეული" (ბოლნისი) — „იმედი" (თბილისი) 3:0.

დასავლეთი ჯგუფი

„დინამო" (ზუგდიდი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:0, „იმერეთი" (ქუთაისი) — „სქური" (წალენჯიხა) 2:0, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:1, „ეგრისი" (ცხაკაია) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:0, „სულორი" (ვანი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 4:0.

„სპორტლოტო"

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 25-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: 3 (ბობსლეი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 29 (სასტენდო სროლა), 40 (რიკაობა), 44 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 10 (წყალბურთი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 31 (ფარიკაობა), 34 (ბალახის ჰოკეი).

რეგბი

დაიწყო უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის რვა უძლიერესი გუნდის ფინალური ტურნირი.

ამ ეტაპზე გუნდები შინ და გარეთ ორ-ორ მატჩს გამართავენ. ქუთაისის „მშენებელმა" პირველი შეხვედრა სტუმრად ჩაატარა. ქუთაისელთა მეტოქე ჩემპონატის ერთ-ერთი ლიდერი, იური გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი იყო. დაძაბულ მატჩში ანგარიშით 13:12 გაიმარჯვეს სამხედრო მფრინავებმა. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა მოგვიანებით შედგება. მოსკოვის „სლავამ" ორივე შეხვედრაში დაამარცხა კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროი" — 25:12 და 26:25, მოსკოვის „ლოკომოტივმა" — კიევის „ავიატორი" — 15:6 და 7:6. ალმაათელმა არმიელებმა მოუგეს სპორტკლუბ „ფილის" რეგბისტებს — 9:6 და 12:9.

ახლა ჩემპიონატში დაწინაურებულ „სლავას" 36 ქულა აქვს, სსა-ს — 35, მოსკოვის „ლოკომოტივს" — 32.

ინფორმაცია

მოსკოვი. ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატი ახალი წესებით ტარდება. პნევმატური შაშხანიდან სროლაში ოქროს მედალი ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ვიქტორ ვლასოვმა დაისაკუთრა (592 ქულა ძირითად სერიებში და 96 ქულა — დამატებითში).

ვოლგოგრადი. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა IX საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას" პრიზზე მოსკოველმა ტატიანა დრუჩინინამ მოიგო. მრავალჭიდის ჯამში მან 39,5 ქულა დააგროვა. მეორე-მესამე ადგილი ერთნაირი შედეგით (38,6 ქულა) რიაზანელმა ლარისა მედვედევამ და ბულგარელმა ველიჩკა კოსტადინოვამ გაინაწილეს.

**რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.**



ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

28 ივნისი ⊙ ფეხბურთი ⊙ სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)

დასაწყისი 20 საათზე.

მატჩზე დასასწრები ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 24 ივნისს, ხოლო სტადიონის სალაროებში — 24 ივნისიდან, შეფარდებით ერთი — ერთზე.

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ 28 ივნისის 12 საათამდე № 7 სალაროში.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატების, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო.

სალაროები ღიაა 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათზე).

ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 27 ივნისს „დინამოს" სტადიონზე. დასაწყისი 19 საათზე. უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება „ლოკომოტივის" სტადიონზე.

ინდექსი: 36425. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07541